



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 269/ს
14/06/2023

269-21-4-202306141749



**ქ. ქუთაისში ი/მ ინული ლიკლიკაძის მეორადი პოლიეთილენის ნარჩენების
გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე
სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

ი/მ ინული ლიკლიკაძის მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. ქუთაისში მეორადი პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ი/მ ინული ლიკლიკაძის მეორადი პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა დაგეგმილია ქ. ქუთაისში, სულხან-საბას ქ. №7-ში შპს „უნივერსალი-99“-ის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 03.05.24.197) განთავსებულ შენობა-ნაგებობაში, საიდანაც 115,4 მ²-ს ი/მ ინული ლიკლიკაძე ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმოს განთავსების ადგილის GPS კოორდინატებია: X-307899.47, Y-4679840.07; X-307908.94, Y-4679838.91; X-307907.25, Y-4679826.79; X-307897.73, Y-4679828.27. უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 240 მეტრით. საპროექტო საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 200 მეტრში მდებარეობს ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის მეორადი პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი და ი/მ გიორგი მიქაუტაძის პლასტმასის ნაკეთობათა დამამზადებელი საწარმოები. საპროექტო ობიექტიდან დაახლოებით 220 მეტრში განთავსებულია ი/მ გიორგი ჩხიკვაძის, 260 მეტრში - შპს „უღნ ჯგუფის“ და 430 მეტრში ი/მ პეტრე მაჭავარიანის პლასტმასის (პოლიეთილენის) ნარჩენების გადამამუშავებელი და პლასტმასის ნაკეთობათა დამამზადებელი საწარმოები. საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება საქმიანი ეზოს საწარმოო ობიექტები.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო საწარმოში გათვალისწინებულია მეორადი პოლიეთილენის ნარჩენების (პარკები) გადამამუშავება და გრანულების მიღება, რისთვისაც ობიექტზე განთავსდება ერთი ერთეული როტაციული დამაქუცმაცებელი (50 კვ/სთ) და ერთი ერთეული გრანულატორი (25 კვ/სთ). საწარმოში წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 57.6 ტონა ნარჩენების აღდგენა და 57.6 ტონა გრანულების წარმოება. საწარმო იმუშავებს წელიწადში 288 დღე, დღე-ღამეში 8 საათი და დასაქმებული იქნება 3 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საწარმოში შემდგომი გადამუშავების მიზნით ნედლეულის შემენა განხორციელდება ადგილობრივ ბაზარზე, ფიზიკური და იურიდიული პირებისგან, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ობიექტზე ნედლეული შემოიზიდება კონტრაქტორის მიერ, ავტოსატრანსპორტო საშუალებებით. საწარმოში შეტანილი ნედლეული განთავსებული იქნება ტომრებში (ბიგ-ბეგებში) და დროებით დასაწყობდება საწარმოს შენობაში. ობიექტზე შეტანილი ნარჩენები არ იქნება დაბინძურებული და შესაბამისად, საწარმოს ტექნოლოგიური სქემის მიხედვით, მათი წინასწარი დამუშავება (რეცხვა) არ განხორციელდება. საწარმოს ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად, პირველ ეტაპზე მოხდება როტაციული დამაქუცმაცებლის მიმღებ ბუნკერში ნედლეულის ჩაყრა მუშა პერსონალის ხელით. დოკუმენტის თანახმად, როტაციული დამაქუცმაცებლის მაქსიმალური წარმადობა შეადგენს 50 კგ/სთ-ს, თუმცა, ობიექტზე დღეში გათვალისწინებულია მხოლოდ 25 კგ/სთ ნარჩენების დაქუცმაცება და შედეგად პოლიმერის დაფქული მასის მიიღება, რომელიც დამაქუცმაცებლის ბუნკერის ქვედა სარქველით ჩაიყრება სპეციალურ ავზში, საიდანაც, მუშა პერსონალის მიერ, ხელის ნიჩბის მეშვეობით, მიეწოდება გრანულატორს. გრანულატორში მოთავსებული დაფქული მასა გაცხელებისას გახდება ერთგვაროვანი, რის შემდგომაც მოხდება გრანულებად დაჭრა, ავზში მოთავსება და გაგრილება. მიღებული პროდუქცია, მუშა პერსონალის მიერ, ხელის ნიჩბის საშუალებით, ჩაიყრება ტომრებში და რეალიზაციამდე დასაწყობდება საწარმოს შენობაში.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ობიექტზე წყლის გამოყენება დაგეგმილია მხოლოდ სასმელ-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით, რისთვისაც წყალაღება მოხდება მიმდებარედ არსებული „საქმიანი ეზოს“ ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. საწარმოს ტექნოლოგიური სქემის თანახმად, საწარმოო პროცესში წყლის გამოყენება გათვალისწინებული არ არის. საპროექტო ობიექტზე სანიტარული კვანძი და საასენიზაციო ორმო მოწყობილი არ არის და აღნიშნული დანიშნულებით გამოყენებული იქნება მიმდებარედ არსებული საქმიანი ეზოს ინფრასტრუქტურა.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოო ტექნოლოგიური ციკლის გათვალისწინებით, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. საწარმოს ფუნქციონირებისას ატმოსფერული ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს: პოლიმერული მტვერი, ძმარმჟავა და ნახშირჟანგი. დოკუმენტში მოცემულია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები და გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მაჩვენებლები. ობიექტზე გადასამუშავებელი ნარჩენების რაოდენობისა (57.6 ტ/წელ) და უახლოეს მოსახლემდე დაშორების მანძილის (240 მეტრი) გათვალისწინებით, საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციისას ხმაურისა და ვიბრაციის წარმოქმნის ძირითად წყაროებს წარმოადგენს ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. დოკუმენტის თანახმად, ხმაურის დონე საწარმოო უბანზე შეადგენს 40-45 დბა-ს. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული დანადგარ-მექანიზმები განთავსებული იქნება დახურულ, კაპიტალურ შენობაში, ხმაურის დონე შენობის გარეთ შემცირდება მინიმუმ 15 დბა-ით. შესაბამისად, ობიექტის ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორების მანძილის (240 მ) გათვალისწინებით, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოში მოსალოდნელია მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც შეგროვდება სპეციალურ კონტეინერში და გატანილი იქნება ქ. ქუთაისის დასუფთავების სამსახურის მიერ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო საწარმო არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ნარჩენების აღდგენა განხორციელდება ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, კაპიტალურ შენობაში, შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის.

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოს მიმდებარედ, 500 მეტრის რადიუსში, მდებარეობს მსგავსი პროფილის საწარმოები, კერძოდ, 200 მეტრში განთავსებულია ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის მეორადი პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი და ი/მ გიორგი მიქაუტაძის პლასტმასის ნაკეთობათა დამამზადებელი საწარმოები. ასევე, 220 მეტრში ფუნქციონირებს ი/მ გიორგი ჩხიკვაძის, 260 მეტრში - შპს „უზნ ჯგუფის“ და 430 მეტრში - ი/მ პეტრე მაჭავარიანის პლასტმასის (პოლიეთილენის) ნარჩენების გადამამუშავებელი და პლასტმასის ნაკეთობათა დამამზადებელი საწარმოები. დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის თანახმად, ვინაიდან, აღნიშნული ობიექტები განთავსებულია კაპიტალურ შენობაში, საწარმოების ერთობლივი ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, წარმადობის (57.6 ტ/წელ) და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, მეორადი პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. ქუთაისში ი/მ ინული ლიკლიკაძის მეორადი პოლიეთილენის პარკების გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ი/მ ინული ლიკლიკაძე ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ი/მ ინული ლიკლიკაძეს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ი/მ ინული ლიკლიკაძის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო თანდილაშვილი



სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

